

**ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში – კონსერვატორია) სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) წარმოადგენს კონსერვატორიის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კონსერვატორიის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, აკადემიური საბჭოს მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის ძირითადი მიზნები, ამოცანები, საქმიანობა

1. კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფა. კონსერვატორიის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
2. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
3. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად სამეცნიერო/შემოქმედებითი განვითარების სტრატეგიის შემუშავება;
4. კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის, ასევე კონსერვატორიის საგამომცემლო საქმიანობის, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედებისა და საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიების სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება/მონიტორინგი;
5. კონსერვატორიის ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსების საერთაშორისო ქსელში ჩართვის ხელშეწყობა;

6. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი მუშაობის შედეგების პოპულარიზაციის მიზნით, საქმიანი კონტაქტების დამყარება საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო/კვლევით დაწესებულებასთან;
7. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება (კონსერვატორიის ელექტრონული სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალის „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“ რეგულარული გამოცემის ხელშეწყობა, სამეცნიერო გაცვლები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების, მასტერკლასების ჩატარების მიზნით, სხვადასხვა სახის რეგიონული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების ხელშეწყობა, პერსონალის ინფორმირება გამოცხადებული სამეცნიერო კონფერენციების/გრანტების/სტიპენდიების შესახებ);
8. სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე ანგარიშების მომზადება და წარდგენა კონსერვატორიის მართვის ორგანოებისთვის;
9. კონსერვატორიის პერსონალისთვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა;
10. შიდასაკონსერვატორიო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ორგანიზება. შიდასაკონსერვატორიო გრანტის ფარგლებში პროექტების რეგისტრაცია, შესრულების კონტროლი და შედეგების ანალიზი;
11. კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვა დაწესებულებებთან ურთიერთობა.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტის სტრუქტურა ითვალისწინებს: დეპარტამენტის უფროსისა და კოორდინატორის პოზიციებს;
2. დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას რექტორთან შეთანხმებით ასრულებს ერთ-ერთი კოორდინატორი;

3. დეპარტამენტის უფროსი:

- ა) უძღვება დეპარტამენტის ფუნქციონირებას კონსერვატორიის წესდებისა და დეპარტამენტის დებულების შესაბამისად;
- ბ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი განვითარების სტრატეგიას;
- გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
- დ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებას და მათ შესრულებას;
- ე) ხელს უწყობს კონსერვატორიის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის ფუნქციონირებას;
- ვ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს (რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციები და სხვ.);
- ზ) საჭიროების შემთხვევაში საფაკულტეტო სამსახურებიდან გამოითხოვს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას;
- თ) ამზადებს დეპარტამენტის მუშაობის კვარტალურ ანგარიშებს თსკ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარსადგენად;
- ი) კონსერვატორიის აკადემიური პერსონალისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე ამზადებს ანგარიშებს და წარუდგენს კონსერვატორიის მართვის ორგანოებს;
- კ) უზრუნველყოფს შიდასაკონსერვატორიო სამეცნიერო საგრანტო კუნკურსის ჩატარებასა და მომდევნო მონიტორინგს;
- ლ) წარმოადგენს დეპარტამენტს კონსერვატორიის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში – კონსერვატორიას მესამე პირებთან ურთიერთობებისას;
- მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

დეპარტამენტის კოორდინატორი პასუხისმგებელია:

- ა) კონსერვატორიის პერსონალისგან წლიური სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის გეგმებისა და ანგარიშების შეგროვება/ელ. ფორმატში გადაყვანაზე;
- ბ) დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების (კონფერენციები, ლექციები, სემინარები და სხვ.) საორგანიზაციო საქმეების მოგვარებაზე;
- გ) კონსერვატორიის ვებ-გვერდზე დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლებაზე; ახალი კონფერენციების, საგრანტო პროექტების, სტიპენდიების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და გავრცელებაზე;
- დ) თსკ-ს მსოფლიო ბიბლიოთეკების ელ. ბაზებში ჩართვის უზრუნველყოფა/მონიტორინგზე;
- ე) დეპარტამენტის უფროსის მითითებებისა და დავალებების შესრულებაზე.

მუხლი 4. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.